*<u>პროექტი</u>*

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**---იანვარი 2023 წელი**

**ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ძმები ყურაშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლავრენტი მანაგაძის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

2. ისნის რაიონში, ძმები ყურაშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლავრენტი მანაგაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

44.828534,41.690118
1 : 2969
გეოგრაფიული (გრძედი,განე

GUA
Georgian Urological Association
საქართველოს ურولოგთა ასოციაცია

# საქართველოს ურولოგთა ასოციაცია

GEORGIAN UROLOGICAL ASSOCIATION

08/06/2022

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარეს, ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

ქ-ნო ნინო,

საქართველოს ურولოგთა ასოციაციის გამგეობა გთხოვთ, განიხილოთ საკითხი რომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს აკადემიკოს ლავრენტი მანაგაძის სახელი.

აკადემიკოსმა ლავრენტი მანაგაძემ, 1967 წელს დაამთავრა ი. სეჩენოვის სახელობის მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1972 წელს, იგი დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა განაგრძო კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტში. ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მან განვლო გზა ლაბორატორიის უფროს მეცნიერ-თანამშრომლიდან დირექტორის მოადგილემდე.

1985 წელს, აკადემიკოსი ლავრენტი მანაგაძე ინიშნება ალ. წულუკიძის სახელობის ურولოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. აქედან იწყება ქართული ურولოგიის ევროპისკენ და დასავლეთის ცივილიზაციისკენ შემობრუნება. მისი ინიციატივით პრაქტიკულად არ დარჩენილა ევროპის არც-ერთი გამოჩენილი ურولოგი, რომელიც თბილისში არ ჩამოსულიყო ლექციების, გამოცდილების გაზიარებისა და ახალი ოპერაციული ტექნიკის დანერგვის მიზნით. წლების მანძილზე, ურولოგიური ოპერაციების გასაკეთებლად საქართველოში ჩამოდიოდნენ პაციენტები მთელი საბჭოთა კავშირიდან. 2000 წელს, აკადემიკოსმა ლავრენტი მანაგაძემ დააფუძნა საქართველოს ურولოგთა ასოციაცია (სუა) და გახდა მისი პირველი პრეზიდენტი. მთელი მისი აქტივობა, აღნიშნულ თანამდებობაზე, მიმართული იყო ქართული ურولოგიის ასიმილაციისკენ ევროპულ ურولოგიაში, რაც მან წარმატებით მოახერხა. 2002 წელს, ქართული ურولოგიის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის, აკადემიკოს ლავრენტი მანაგაძეს მიენიჭა ევროპის ურولოგთა ასოციაციის საპატიო წევრის სტატუსი. პირველს, და ჯერ-ჯერობით ერთადერთს, საქართველოში.

შთამბეჭდავი და უაღრესად ნაყოფიერია ლავრენტი მანაგაძის სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი 350-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 2 სახელმძღვანელოსა და 3 მონოგრაფიის ავტორია. ასევე არის 17 წიგნის თანაავტორი, რომელთაგან ერთი ქართულ, ერთი იაპონურ, 5 გერმანულ და 10 ინგლისურ ენებზეა გამოცემული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით, დაცულია 12 საკანდიდატო და 10 სადოქტორო დისერტაცია.

კლინიკურ და სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, აკადემიკოსი ლავრენტი მანაგაძე ეწეოდა ინტენსიურ პედაგოგიურ მუშაობასაც. 1991-1992 წლებში იგი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, ხოლო 1998-2012 წლებში

წინანდლის ქუჩა 9, 0144 თბილისი, საქართველო | Tsinandali str. 9, 0144 Tbilisi, Georgia

☎ +995 322 27 35 31 info@gua.org.ge
+995 322 77 44 95 www.gua.org.ge

# საქართველოს უროლოგთა ასოციაცია

## GEORGIAN UROLOGICAL ASSOCIATION

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უროლოგიის კათედრის პირველი ხელმძღვანელი. მან აღზარდა ქართველი უროლოგების რამოდენიმე თაობა, რომლებიც სათავეში უდგანან უროლოგიურ სამსახურს საქართველოს ყველაზე წარმარტებულ კლინიკებში.

აკადემიკოსი ლავრენტი მანაგაძე არის: საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ალექსანდრე წულუკიძის სახელობის და გრიგოლ მუხაძის სახელობის მედლების ლაურეატი; ღირსების და ბრწყინვალების ორდენების კავალერი.

პატივისცემით,

GEORGIAN UROLOGICAL ASSOCIATION GUA 206108521 საქართველოს უროლოგთა ასოციაცია

პროფესორი არჩილ ჩხოტუა
საქართველოს უროლოგთა ასოციაციის გენერალური მდივანი

პროფესორი თეიმურაზ ჩიგოგიძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უროლოგიის კათედრის პროფესორი; საქართველოს უროლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი

გიორგი მანაგაძე
მედიცინის დოქტორი, საქართველოს ურროლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი

ამბროსი პერტია
მედიცინის დოქტორი, საქართველოს უროლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი

ალექსანდრე ხელაია
მედიცინის დოქტორი, საქართველოს უროლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი

ზაზა ჭანტურაია
საქართველოს უროლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი

წინანდლის ქუჩა 9, 0144 თბილისი, საქართველო | Tsinandali str. 9, 0144 Tbilisi, Georgia

+995 322 27 35 31 info@gua.org.ge
+995 322 77 44 95 www.gua.org.ge

**ლავრენტი(ლაურ) მანაგაძე**

**(1944-2019)**

**ექიმი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი.**

დაიბადა 1944 წლის 14 ოქტომბერს ქალაქ თბილისში. 1961 წელს დაამთავრა თბილისის 56-ე საშუალო სკოლა. 1967 წელს დაამთავრა ი. სეჩენოვის სახელობის მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1970-1972 წლებში მუშაობდა სსრკ სამედიცინო აკადემიის ორგანოთა გადანერგვის ლაბორატორიის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1972–1974 წლებში — უფროს მეცნიერ თანამშრომლად საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტულ და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის ლაბორატორიაში. 1974-1984 წლებში იყო ექსპერიმენტული ლაბორატორიის ხელმძღვანელი, 1984-1985 წლებში — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1986-2000 წლებში — ა. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი იყო, ხოლო 1991-1992 წლებში — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი.

1998 წლიდან იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის კათედრის ხელმძღვანელი. 2000-2004 — წლებში საქართველოს სახელმწიფო ა. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი. 1999-2004 წლებში — საქართველოს პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, ჯანმრთელობობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი. 2008 წლიდან იყო ამავე ცენტრის გენერალური დირექტორი.

1986 წელს დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით, 1997 წელს ღირსების ორდენით.

2004 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო პრემიით, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

გამოცემული აქვს ერთი სახელმძღვანელო, ავტორია 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის. იყო პროფესორი და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

1971 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „თირკმლის კონსერვაცია ჰიპოთერმიისა და ჰიპერბარიული ოქსიგენაციის მეთოდების გამოყენებით“. ხოლო 1981 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ბავშვთა თირკმლების გადანერგვა ზრდასრულ რეციპიენტებში“.

გარდაიცვალა 2019 წლის 7 აგვისტოს.